საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

02/11/2017

MOD 8 17 01057517

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 278
თარიღი: 3 11 2017 წ.

ააიპ "საქართველოს რეფორმების ასოციაციის" დირექტორს
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

მის: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №27

ბატონო პაატა,

თქვენი 2017 წლის 10 ოქტომბრის №374 განცხადების (რეგ. №977759; 11.10.2017წ.) პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2017 წლის 16 მაისის №393 ბრძანებით (წარმოგიდგენთ დანართის სახით) სამინისტროს სისტემის სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი სამხედრო საგანმანათლებლო პოლიტიკის სტანდარტების დანერგვისა და კოორდინაციის მიზნით, შექმნილია შესაბამისი საკოორდინაციო ჯგუფი.

რაც შეეხება სახელმძღვანელოს - „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება", ვინაიდან არსებული რედაქცია ვეღარ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, მიზანშეწონილია, განახლებული ინფორმაციით, დღევანდელ რეალობაზე მორგებული სახელმძღვანელოს შემუშავება.

ხსენებული სახელმძღვანელოს მიზნებია მოსწავლეებისათვის სამხედრო საქმესთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა, საგანგებო ვითარებაში უსაფრთხო ქცევის წესების, თვითგადარჩენისა და სხვისი დახმარების უნარ-ჩვევების გამომუშავება; ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემების გაცნობა და სხვა.

ამჟამად მიმდინარეობს სახელმძღვანელოს პროექტის შემუშავება, რომელიც შემგდომი სათანადო პროცედურებისათვის მიეწოდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სკოლებში მისი დანერგვა ასევე განეკუთვნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციას.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაცია \ ადმინისტრაცია

0112 ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ.20 ტელ. (995 32) 2 912058
20GENERAL G. KVINITADZE STR. 0112, TBILISI, GEORGIA, TEL. (995 32) 2 9120 58
E-MAIL: MOD@MOD.GOV.GE

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანება

ქ. თბილისი

16/05/2017

MOD 7 17 00000393

საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის შესახებ

,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის N297 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ე" და ,,უ" ქვეპუნქტების საფუძველზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი სამხედრო საგანმანათლებლო პოლიტიკის სტანდარტების დანერგვისა და კოორდინაციის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას საკოორდინაციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) **საკოორდინაციო ჯგუფის თავმჯდომარე** - საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე - ნუკრი გელაშვილი;

ბ) **საკოორდინაციო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე** - საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე - პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა;

გ) **საკოორდინაციო ჯგუფის წევრები:**

გ.ა) საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდალი - პოლკოვნიკი მალხაზ მაკარაძე;

გ.ბ) საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსი - პოლკოვნიკი გიორგი ჯაჭვაძე;

გ.გ) საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტის უფროსი - ვიცე-პოლკოვნიკი ვასილ კოპეიკინი;

გ.დ) სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი - ვიცე-პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე;

გ.ე) სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორი - პოლკოვნიკი შალვა ძინძიბაძე;

გ.ვ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და განვითარების დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის სამმართველოს განათლების პოლიტიკის შემუშავების განყოფილების უფროსი - ბექა კობახიძე.

2. საკოორდინაციო ჯგუფს დაევალოს:

ა) სამხედრო საგანმანათლებლო სფეროს პრიორიტეტების განსაზღვრა;

ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების მიმართულებების განსაზღვრა;

გ) სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულების მუშაობის კოორდინირება.

3. გრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი
ლევან იზორია